სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

16 იანვარი 2024

N 21/290

შპს „ჯეო ენტერპრაიზს“
მის: ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N4
ელ. ფოსტა: geoenterprise@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 17 ოქტომბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N10109 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზდგ) პროექტის ანგარიშში ასახული ინფორმაციის მიხედვით ლითონის დამუშავების საამქროში გამოყენებული მეთოდური მითითების შესაბამისად დაანგარიშებული მავნე ნივთიერებათა სახეობები განსხვავდება ავტომატიზებულ კომპიუტერულ პროგრამა ,,ეკოლოგი 3.0“-ში წარმოდგენილ სახეობებთან. კერძოდ: აღნიშნული წყაროსთვის ლითონის მტვრის (კოდი 2902) ნაცვლად ავტომატიზებულ პროგრამაში გამოყენებულია საანგარიშოდ არაორგანული მტვერი 20%-მდე SiO_2 შემცველობით (კოდი 2909). შესაბამისად არასწორად გამოყენებული მონაცემები პროპორციულად ახდენს გავლენას სპეციალურად შერჩეულ წერტილებში ზდკ-ს მნიშვნელობებზე და ცვლის მათ მაჩვენებლებს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს კორექტირებას და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამუშავებულ პროექტში ასახვას.
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია წარმოიქმნას წიდა, რომელიც წარმოადგენს ნარჩენს. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნას ნარჩენი წიდის კოდ(ებ)ი, დასახელების, რაოდენობისა და იმ ნებართვის მქონე ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია, რომელიც განახორციელებს აღნიშნული ნარჩენის საბოლოო დამუშავებას. გზშ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია წარმოიქმნას ნარჩენი კოდით - 10 02 15 (სხვა წიდები და ფილტრის ნალექები), რომელიც შეგროვდება ბიგ-ბეგებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შპს „სანიტარს“, ხელშეკრულების საფუძველზე. ვინაიდან, შპს „სანიტარს“ არ გააჩნია მსგავსი ტიპის ნარჩენის გადამუშავების უფლებამოსილება, დაზუსტებას საჭიროებს 10 02 15 კოდით ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი. ასევე დოკუმენტაციის მიხედვით, გათვალისწინებულია ნარჩენის კოდით (17 10 01) გადამუშავება, რომელიც არ შეესაბამება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის

განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით გათვალისწინებულ კოდს. ამასთან ერთად, პროექტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, კომპანია ასევე გეგმავს ნარჩენის კოდით - 16 01 06 გადამუშავებას. მოცემული ნარჩენი N426 დადგენილების თანახმად, წარმოადგენს ვერცხლისწყლის შემცველი კომპონენტების ნარჩენებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ქ. რუსთავის სანიაღვრე წყლების კოლექტორში. წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულება;

გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით გიგზავნით სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო